**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893    სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    1877—1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 თებერვლიდამ წლის დამლევამდე, ფასი 9 მან. 50 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

**ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა** აცხადებს, რომ 14 ამა თებერვალს, კვირას, დილის 10 საათზე, ბანკის შენობის დარბაზში დანიშნულია საგანგებო კრება აღნიშნულის ბანკის წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთა. კრებამ შემდეგი მოხსენებანი უნდა განიხილოს:

1, მოხსენება იმის შესახებ, გადაიდოს თუ არა 15 ათასი მან., კახეთის რკინის გზის გამოსაკვლევად.

2, მოხსენება იმის შესახებ, რომ 1,000 მანათამდე გამოიღოს ბანკმა დასაწერად იმ ქაღალდისა, რომელიც მთავრობას უნდა მიერთვას, რათა უმაღლესად დამტკიცებული ხიზანთა დებულება გადასინჯულ იქმნას.

3, მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკის გამგეობისათვის მინიჭებული უფლება 6°/₀ სესხის გარდასაცვლელად 5°/₀-ზე შეცვლილ და შევსებულ იქმნას.

## ახალი ამბავი

*** როგორც ამბობენ, ბუხრის ემირი 15 თებერვლამდე დაჰყოფს ტფილისში.

*** განზრახვა აქვთ ახალი გარდასახადი დაადონ კლუბებსა, რესტორანებსა და ტრახტირებს. გარდასახადი შემოსავლის კვალობაზედ იქნება გაწერილი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ არტისტ-ქალს საფაროვ-აბაშიძეს მოუწვევია ტფილისში არტისტი ვ, ალექსი-მესხიშვილი, რომელიც დიდ-მარხვაში რამდენიმე წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს.

*** როგორც მკითხველმა იცის, საქალაქო კრებულმა გუბერნიისამ დაადგინა, რომ ამომრჩეველთა სიებში მოჰყვებიან აგრედვე ის მოქალაქენი, რომელნიც შეიტანენ დაფასების დარჩენილ ვალს იმ დღემდე, ვიდრე ხსენებული სიები წარედგინება ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად. ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა დარჩენილ ვალის შეტანის ვადა 28 თებერვლამდე, რადგან სიები დაიბეჭდება 14 თებერვალს და სახლის პატრონებს უფლება აქვთ შეასწორებინონ გამგეობას სიები ორის კვირის განმავლობაში. ხოლო სიებს გაუგზავნის გამგეობა ბ-ნს გუბერნატორს 1 მომავალ მარტს.

*** ელექტრონით განათლება ქალაქისა თითქო ნელ-ნელა ახლოვდება. ამას წინედ ბ-ნმა ჯავახოვმა გამოუცხადა ქალაქის გამგეობას, რომ იგი რწმუნებულია ერთ საფრანგეთის კომპანიისა, რომელიც მზად არის თავის ხარჯით გამართოს ტფილისში ელექტრონის განათება. ეხლახან გამგეობას მოუვიდა წინადადება თვით ამ კომპანიის წარმომადგენელისა, ბ-ნ დიუნანისა. როგორც ქაღალდიდგანა სჩანს, კომპანია კარგა შეძლებული ყოფილა, ჰქონია ძირის თანხა ორ მილიონ ნახევარი ფრანკი და ევროპის ბევრ დიდრონ ქალაქებში გაუმართავს ელექტრონის განათება, რისთვისაც ჯილდო მიუღია მრავალ კონგრესებზედ. ბ-ნი დიუნანი ამბობს, რომ ძლიერ ადვილი აღსასრულებელია ტფილისისთვის ელექტრონის გამართვა, თუ-კი გამგეობა ითავებს ამ საქმესაო. ასახელებს რამდენსამე დაწვრილებით პირობას და ამბობს, რომ უფრო შემუშავებულს პროექტს წარმოვადგენ, თუ-კი გამგეობა ამ პროექტს დროებით არ გამოაქვეყნებს, ვიდრე ხელ-წერილით შემეკვრება და საქმეს მომანდობსო. კამპანია ყველაფერს თავისის ხარჯით გაჰმართავს, დასდგამს სამოც დიდრონ ლამფას, რომელთაგან თითოს სინათლე იქნება ათასის სანთლის ძალისა, დასდგამს აგრედვე სამას ფარანს თითოს თექვსმეტ სანთლის ძალისას და ორი-ათასამდე პატარ-პატარა ლამფებს მუშტრისთვის მაღაზიებსა და სახლებში. ხარჯის ფასში აიღებს ხელწერილის შეკვრისათანავე ათას-რვაას თუმანს, საქმის დამთავრების შემდეგ ორი-ათას თუმანს, დანარჩენს ათი-ათას თუმანს ადროვებს ხუთის წლით, ხოლო 7 სარგებელს გამოართმევს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია 14 თებერვალს წავა ქ. გორს, სადაც დარჩება 16 მომავალ მარტამდე და განარჩევს ორმოც-დათორმეტს საქმეს. პირველი დღე საქმის განხილვისა არის დანიშნული 15 თებერვალს.—სასამართლოს სესია დაჰყოფს ახალ-ქალაქის მაზრაში ხუთ მარტიდამ შვიდამდე.

| | | |
|---|---|---|
| ახალციხეს | 12—16 | მარტამდე |
| თელავ. მაზ. | 6—16 | აპრილამ. |
| ზაქათალას | 16—20 | აპრილამ. |
| სიღნაღს | 21—30 | აპრილამ. |

*** გადაწყვეტილია, რომ სახელმწიფო ხაზინა ყოველ წლივ 200 მანათს გადასდებს ტფილისში დაარსებულ მაჰმადიანთა სასწავლებლისათვის.

*** 8 იანვარს, ღამის ორს საათზედ, საქონლის მატარებელი № 49 სადგურ ნავთლუღიდამ რომ გავიდა, გზაში ორთქლ-მავალს № 341 გაუტყდა წინა ღერძის მარცხენა თვლის სალტა (бандажъ), რადგან სასქე სალტისა გაცილებით პატარა იყო, ვიდრე კანონით დაწესებულია, და თვალზედ დამჯდარიც მეტად ცუდათ იყო. მატარებელი ჰლამობდა გადმოვარდნას ლიანდაგიდგან და დაღუპვას, მაგრამ მემაშინის—ბ-ნ გავრილოვის და მის თანაშემწის—ბ-ნ ნასიძის მეცადინეობით მატარებელი მალე იქმნა შეჩერებული და ამით უბედურობა ასცდათ როგორც თითონ, აგრედვე ხუთს კონდუქტორს, რომელნიც იყვნენ მატარებელზე. რადგანაც უსალტოდ აღარ შეიძლებოდა წასვლა სადგურამდე, ამიტომ იქმნა მოთხოვნილი მაშველებელი ორთქლ-მავალი, რომლის შემწეობითაც დაზიანებული ორთქლ-მავალი ჩატანილ იქმნა სიფრთხილით მახლობელ სადგურამდე—ატაქლამდე. მეორე დღეს ხსენებულ სადგურს ჩამოვიდა გამოწვეული ტელეგრამმით დეპოს უფროსი რამდენისამე ჩილინდრით, რომელთა შემწეობითაც დაზიანებული თვალი გამოღებულ იქმნა და ორთქლ-მავალი გაგზავნეს ტფილისს შესაკეთებლად.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ბანდაჟების (სალტების) სიმკვიდრეს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შესაძლოა განმეორდეს ზემოხსენებული ამბავი და შეიწიროს მრავალი მსხვერპლი.

*** ქვემო აჭარა, ს. ქედა: სწავლა-განათლებით ბნელს ჩვენს აჭარას, როგორც ეტყობა, ბედი ეწვია. წარსულს წელს ბ-ნმა აბდულ-ბეგმა მოიწვია თავის ხარჯით მასწავლებელი და კერძო სკოლა დააარსა. ძრიელ მოხარულნი ვართ, რომ მცხოვრებლები სიხარულით მიეგებნენ სკოლის დაარსებას. მასწავლებელიც გულ-დადებით ეკიდება თავის მოვალეობას და მცირე ხანში შეასწავლა ბავშვებს ქართულ-რუსული წერა-კითხვა. ამას წინად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ გამოგზავნა ათი ცალი „დედა-ენა“ და მოწაფეთ დაურიგდა. ყმაწვილებმა დიდის სიამოვნებით და სიხარულით მიიღეს ეს საჩუქარი და გამოგზავნისათვის მადლობას უძღვნიან ზემოხსენებულ სა-

## ფელეტონი

### „ადამიანი!..“

### I

თედო გელიაშვილმა გაჰკრა ასანთი და ყელ-მოღერებული ლამპარი აანთო. იმის ბუნდ შუქზედ პირველად თვით გელიაშვილის მიმკრთალმა სახემ დაიწყო ციმციმი, და შემდეგ მთელი ოთახი კედლებით და მოწყობილებით გამოირკვა: ორი დაძველებული, თავებით ერთმანეთზედ მიდგმული ტახტი, ორი დანჯღრეული მაგიდა და აგეთივე ტაბლა, რომელზედაც დახროვებული იყო წიგნები და სხვა-და-სხვა საგნები, როგორც: ჭიქები, საწერ-კალამი, ცალიერა ასანთისა და თუთუნის კოლოფები, ნემსი და ძაფი, გამხმარი პურის ნამტვრევები და კიდევ სხვა ამისთანები. აი, მთლად ოთახის სამკაული, თუ-კი მხედველობაში არ მივიღებთ და საშუალებად არ ჩავთვლით ერთ თიხის მათრათს, რომელშიაც თედო და იმისი ამხანაგი გაბო ბურაშვილი პირს იბანდნენ, და თუნუქის ჩაიდანს, თუნუქისავე ნავთის ჭურჭელს და ნავთის სამზარეულოს, რომელზედაც ჩაისთვის წყალს ადუღებდნენ.

თედო თავის დიდრონისა და მორღვეულის თვალებით დიდხანს დასცქეროდა ყელ-მოღერებულ ლამპარს და რაღასაც ჰფიქრობდა.

„ეჰ, ამისთანა ცხოვრებაც დაიქცეს“! წამოიძახა ბოლოს იმან ♂ წიგნს წამოავლო ხელი. „დღეს თუ იმას ფული არ მისცეს, სიცივით დავიხოცებით“! განაგრძო ისევ და იქავ ტახტზედ მოწყვეტით დაეშო. ტახტი შეირყა, შეტორტმანდა და უეცრივ შუა წელში ჩაიკეცა. თედოც დაჰყვა შუა წელს, რადგანაც ადგომა ვერ მოასწრო, და, როგორც ხაფანგში, ტახტის თავსა და ბოლოს შუა მოჰყვა.

— ფუი, შე ვერანო!.. წამოიძახა თედომ, და ხველა აუვარდა.

დიდხანს ახველა ყრუდ თედომ და, როდესაც ხველა გადაუვარდა, თავი გაინთავისუფლა.

— რა გატოკებთ, თქვე ოხრებო?!. ბუზღუნით წაუტია გადმოფანტულ წიგნებს, რომლებიც ტახტის შუა წელის ფეხების დანიშნულებას ასრულებდნენ, და შემდეგ ტახტს სწორება დაუწყო.

— მობრძანდი, შენ საფუძვლად დაედე, ხომ თითქმის შენზეა დამყარებული ეხლანდელი მეცნიერება. ახლა შენ ვინ დაგასვა ზევიდგან, რომ ჩხუბი არ მოგივიდეს?!. აბა შენ ვინა ხარ?.. ჰო შენა?! არა. შენ სულ არ ჩაგირთავ აქ, თორემ არავის მოუსვენებ და ჩემ კოჰლ ტახტს ისევ ეშმაკს შეუსვამ... ისევ შენ მოდი, ჩემო ჰკვიანო, შენ უწყინარი რამა ხარ... ეხლა? ეჰ, ვინც უნდა იყოს! თქვენ ფილოსოფოსი - მეცნიერები ხართ, ჩხუბი არ უნდა მოგივიდეთ. თუ აზრებში არ ეთანხმებით ერთმანეთს, ისე უტოკველად, ტანის შეურხეველად იკამათეთ და დაარღვიეთ ერთმანეთის აზრი... რა არის, თქვე დალოცვილებო, მთელი ქვეყნის გასწორებას, შეცვლას ჰლამობდით და ეს ჩემი მინგრეული ტახტი-კი ვერ გაგიმაგრებიათ!.. ამას შემდეგ რას უნდა მოველოდე თქვენგან?!.

ასე ებაასებოდა თედო წიგნებს ტახტის სწორების დროს და ხამუშხამუშ ყრუდ ახველებდა. ლამპარი-კი ზევიდგან ყელ-მოღერებული თითქოს ზიზღით და დაცინივით დაჰფრი-ფრიტებდა იმას.

როდესაც თედომ გაამაგრა ტახტი, საბანი წაიხურა და ასე დაიწყო წიგნის კითხვა, ამ დროს კარები ვიღამაც დააბრახუნა.—

— შემოდი, ვინა ხარ? წამოიძახა თედომ და ფეხზედ წამოდგა.

— წერილი არის თქვენთან! შემოსვლისათანავე, წამოიძახა მოსამსახურე გოგომ და წერილი გაუწოდა.

— ვინ მოიტანა?

— ფოსტალიონმა.

თედომ მაშინვე მოჰხია თავი და წაიბუტბუტა: „შინიდგან იქმნება“.

— ქალბატონმა, სახლის ქირა გამოგზავნეთო.

— რაო? წაუტია თედომ, როდესაც წერილის ფურცლები გაშალა.

— რაო და, სახლის ქირა გამომიგზავნეთო! თამამად უპასუხა გოგომ.

— სახლის ქირას-კი არა, ჭირს გაუგზავნი! წადი უთხარ ქალბატონს, ფულებს რომ თხოულობ, რატომ სახლს არ გვითბობთქო.

— რითი გაათბოს, თუ-კი ქირას არ იძლევით.

— შენ ვინ რას გკითხავს?! წადი ასე უთხარ: „თუ ოთახს თბობას არ დაუწყებ, ერთ გროშსაც ვერ მიიღებთქო“.

გოგო გაბრუნდა და ბუზღუნით კარი გაიბრახუნა.

— რა უსინიდისოებს შევხვდით!.. ნეტავი ეხლა ფული გვქონდეს, რომ გავსწორებიყავით და სხვაგან გად-ვსულიყავით,—გოგოს თვალის გაყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებას. სასურველია, ქვემო-აჭარაშიაც დაარსდეს ასეთი სასწავლებელი.

*** ჩიკაგოდგან სწერენ გაზეთს „ფუნჯ“-ს, რომ რიცხვი სომეხ სტუდენტებისა თანდათანა მატულობს. ამ ჟამად ჩიკაგოს 13 სტუდენტია. მათ შორის ერთი სტუდენტი ქალიც არის.

*** 6 თებერვალს ქ. ბაქოში რევოლვერით თავი მოიკლა დავით ჩიკნავეროვის 18 წლის ყმაწვილმა კაცმა. ჩიკნავეროვმა შემდეგი ბარათი დასტოვა: „ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთო“.

*** 11 ამ თთვისას პოლიციის პირველ ნაწილში ახალს ქუჩაზე ენიკოლოფოვის სახლთან იპოვნეს სამის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ივრის-ხეობა.** შიმშილია ივრის-ხეობაში ხალხისა და საშინელი უბალახობაა საქონლისა!.. კოდი პური ოთხ მანათად და ერთ აბაზად ფასობს. ფასს თავი დაანებეთ, შოვნაც-კი გასაჭირია. ზაფხულში რვა აბაზად იყიდებოდა და ახლა-კი ასე აიწია ფასმა. სიმინდი კოდი თექვსმეტი აბაზია, როდესაც შემოდგომაზედ ვაჭრებმა მანეთობაზედ შეაგროვეს მრავლად. შარშან რუსეთში, იმ საშინელს სიმშილის დროს, ჭვავი ფუთი ექვს აბაზზე ზევით არ ავიდა; სიმინდს, როგორც ხალხის საკვებს, ჩვენში ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც რუსეთში ჭვავს, და ესეც დღეს ექვსი აბაზია ფუთი, როდესაც აქნობამდე. ექვს შაურზე ზევით არ ასულა. ვეებერთელა სოფლები: ყანდაურა, კაკაბეთი, ჩაილური, მანავი და სხვანი აყრილან: კაცი, დედაკაცი და ბალღი და ყველანი პურის სასყიდლად დადიან ივრის-ხეობის პურით განთქმულ სოფლებში: გიორგიწმინდას, ნინოწმინდას, პატარძეულს, რომ ლიტრობით მაინც იყიდონ პური და სიმინდი. შეძლებულნი ჰყიდიან კიდეც პურსა დაფქვილს, გამომცხვარს და ხორბალს, მაგრამ მუშტარი იმდენია, რომ აწყვას ვერ ასწრობენ.

—

შემოდგომაზე ვერავინ ამჩნევდა, რომ ჭირნახულის ფასი ასე აიწევდა. შარშანდელს დიდად მოსავლიან წელიწადს შემდეგ, ვინ წარმოიდგენდა, რომ წელს ასე გაჭირდებოდა საქმე. მერე არც წელს იყო მცირე მოსავალი: სოფლის ამბრები, რადგან პურს ვეღარ იტევდნენ, სამაზრო მმართველობის განკარგულებით კოდს ცხრა აბაზად აფასებდნენ და მუშტარი არ იყო. თიბათვე-მკათათვეში სიღნაღის მაზრის უფროსი შაჰრიგებოდა ამ ფასად ერთ ვაჭარს, რომელიც მოვიდა ს. კაკაბეთს და ყანდაურას პურის მისაწყავად, მაგრამ ჯიბრზედ შეძლებულმა გლეხებმა არ დაანებეს და ამ ფასად თვითონ მიიწყეს. ეხლა, რასაკვირველია, კაი დორანში ჩაცვივდნენ... შესანიშნავია, რომ ს. ჯიმითმა სრული უარი გამოუცხადა მაზრის უფროსს, პურს ვერ გავყიდითო, და ეხლა თითონვე დასჭირდა... ტფილისის მაზრის უფროსსაც უნდოდა ორ-მანეთობაზედ კოდი გაეყიდნა, მაგრამ საბედნიეროდ, მუშტარი არ აღმოჩნდა, და ეხლა დიდად იოლად მიდის ხალხი ამ პურით...

—

სხვათა შორის გლეხთა გალატაკების მიზეზი ისიც არის რომ შემდეგ შარშანდელ დიდ მოსავლიან წლისა, ასეთს სიძვირეს არავინ მოელოდა. ყოველი გლეხი წინად წინდახედვით იქცეოდა—სარჩოს, ცოტას მაინც სამერმისოდ ინახავდა, აძველებდა, ამიტომ შოვნაც იყო ხოლმე და ასეთ სიძვირესაც მაშინ ადგილი არ ჰქონდა. ეხლა-კი ისე გაჭირვებულია გლეხ-კაცობა, რომ, რაც უნდა ბევრი მოუვიდეს, შემოდგომაზევე ჰყიდის ნახევარ ფასად და თითონ ბევრჯელ გაზაფხულზედ ჰყიდულობს უფრო ძვირად. უგზო-უკვლობა ხომ სულ ჰღუპავს ხალხს ამისთანა შემთხვევაში. ტფილისში ფუთი ფქვილი მანეთია, მაგრამ მანდედამ აქ მოტანა, მერე ამ ცუდ ზამთარში, შეუძლებელია.

—

ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „ბედი უნამუსო ქალიაო, ღარიბი სძაგს, მდიდრის ეშხით მთვრალიაო“. ღარიბთ გაჭირვება შემძლებელთ აღდგომაა. ზოგი მათგანი ამ პურძვირობაში ფულით ყელთამდინ ივსება და ამ დროს მისი მეზობელნი ღარიბნი-კი სიღარიბის უფსკრულში ჩადიან და რამდენიმე კაი მოსავლიანი წელია საჭირო, რომ თავი დააღწიონ ვალებსა. მაგრამ ვაი იმათ, თუ მოუსავლობამ კიდევ თავი იჩინა!..

—

ხალხის შიმშილს საქონლის შიმშილიც მოჰყვა და ყოველ ამას ზედ დაერთო თოვლ-მრავალი ზამთარი. ივრის-ხეობის განთქმული მინდვრები და სათიბები, სადაც ამოდენა ფშავლის, თუშისა და თათრის საქონელიც-კი იკვებებოდა, დღეს მოტიტვლებულია. ხალხმა საქონელი შინ ამორეკა, მაგრამ აქ როგორ გაუძლებენ ბზით და თივით, როდესაც ურო-ბანდი ჰქონდათ მათვის საზამთროდ პატრონებს ჩვეულებრივ დაგულებული მინდვრად და შინ იმათთვის ნამზადისი არა გააჩნდათ-რა. ამის გამო საშინლად ეჟლიტებათ საქონელი და იცემენ საწყლები თავში... ცხვარი რო უკვდებათ და სჭრიან, თურმე კუჭი მიწით აქვთ სავსე, რადგან უბალახობის გამო, ბალახის ძირებს ჰგლეჯს ტუჩებით. ტუჩებიც-კი საცოდავათ დაუსკდათო, ამბობენ მწყემსები. მოხდა ეს ყოვლივე იმისაგან, რომ მოხელეთ თავიანთ სარფისათვის მიიმხრეს უსაქონლო გლეხები და მინდვრები გაავსეს ქვეყნის საქონლით—ოღონდ საბალახო ბლომად გვერგოსო. საწყალ ხალხს ერთმანეთის ბრმა შური და მტრობა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. სიღარიბე მოფიქრების ნებასაც აღარ აძლევს და საქონლის პატრონის მოსისხლე მტერი უსაქონლო მეზობელია: „მე არა მყავს, შვილო, ნურც შენ გეყოლება; შენ იყოლიებ და მე ჩემ წილ მინდორს გავაქირავებო“! აი ამათი სჯა. ამაზედ კვერს უკვრენ მოხელენიც, რადგან მათთვის სასოფლო შემოსავალი, რა გაჭირვებაც უნდა ადგეს ხალხს, სატრფიალო და სასურველი საქმეა. იღუპება ამ უგუნურ მოსაზრებათა და გულისთქმათა წყალობით ივრის-ხეობის გლეხობა და ძველად განთქმულნი საქონლით, სარჩოთი და ქონება-დოვლათით, იქნება, მალე სულ ბოგანო და ტაბარუკი გახდეს.

—

ყოველსავე ზემოხსენებულს უბედურობას წელს ერთიც სხვა მოემატა. მოხელეთ ხელთ უგდიათ რაღაც საწანახედო „ტაქცია“, დაუქირავებიათ, სადაც-კი სოფელში შრატი და შარი გლეხია, მეველედ, შეუდგენიათ რაზმები და გაუგზავნიათ მინდვრად. შეასწრეს თვალი, რომ მეძროხემ ოციოდ ძროხა გადმოუშვა ჭირნახულში, აი გინდა ამ უზარ-მაზარ თოვლის დროს—ისინი მიჰქრიან მისკენ, არჩევენ ხუთ-ექვს სულს და მოუდით სოფლის მოხელესთან. „ტაქციით“ ძროხა სამი მანათია, თუ მეორე დღეს ექვსი თუმანი არ მოიტანა ძროხის პატრონმა, მოხელე თვის ძალით საჯარო ვაჭრობით უყიდის ძროხას, ნახევარს „მეველეთა რაზმს“ აძლევს და ნახევარს—ღმერთმა უწყის... იყო მაგალითები, რომ ოცდა-ათ და ორმოც თუმანს სთხოვდნენ ერთ გადასვლაზედ თავიანთ მეზობელს მოხელენი და ბლომადაც აწაპნეს ამ გვარად ფული... ჩხუბი, გადაკიდება და წყევლა-კრულვა ამის გამო საშინელია ჩვენს ხეობაში. ყოველ ამის გამო ხალხი საერთოდ საჩივარს აპირებს უმაღლესს მთავრობასთან...

X.

## მცირე შენიშვნა

(კახეთის რკინის გზის გამო)

მოვიყვანთ უფრო დაწვრილებით ზოგიერთს ცნობას იმის შესახებ, თუ ამ ათის წლის განმავლობაში რა გვარად გაძლიერდა ტფილის-ბაქოს რკინის გზა. ხელთა გვაქვს ანგარიში წარსულის წლისა. პირველ ხანში ამ გზას ასაზრდოებდა მარტო ბაქო თავის დაუშრომელ ნავთის წყაროებით. ბაქოსა და ტფილისს გარდა, სხვა სადგურები, რომელთა რიცხვი 44-ია, ძლიერ მცირედ მუშაობდა.

დღეს ტფილისიდამ ბაქომდე საკომერციო მუშაობის დაკვალად სადგურები სამ ნაწილად განიყოფება. პირველი მუშა-სადგურები სულ სამია: აქსტაფა, განჯა და ევლახი. ეს სადგურები თავის გაძლიერებულ მუშაობით მთელ ამიერ კავკასიის გზაზე, ბაქო-ტფილისსა და ბათუმს შემდეგ, პირველი მომუშავე სადგურებია. ამათ მოსდევს აქტაგლა, ყარაიაზი, ფოილი, ძეგამი, შამქორი, ლიაქი, უჯარა, ქურდამირი, ქარასუ და აჯიქაბული. დანარჩენ სადგურების მუშაობა ისე თვალსაჩინო არ არის; უნდა-კი ვსთქვათ, რომ მათ შორის იშვიათია სადგური (მეოთხე ხარისხის სადგურებ გარდა), რომ წლიური შემოსავალი ორ ათასიდამ ხუთ ათას თუმნამდე არ ადიოდეს. აქსტაფა-ევლახი თითონ არაფერი სადგურებია, მახლობლადაც ხალხით დასახლებული სოფელ-ქალაქები არა აქვს. ამ სადგურებს მუშაობა შორიდამ, აქსტაფაში—ერევნის გუბერნიიდამ და ევლახში——შუშისა და ნუხის მაზრიდამა აქვს. ნუ დაივიწყებთ, რომ აქსტაფა ორასის ვერსის სიშორეზეა და ევლახი შუშა ნუხიდამ თითქმის ას ვერსზეა დაშორებული.

აი ამ მანძილსაც-კი არ უფრთხის ხალხი და, რაც-კი შეუძლიან, თავის ნაწარმოებ-ნამოქმედარს ძველებურ ურემ-აქლემ-ცხენებით ეზიდება რკინის გზამდე დიდ ბაზარში გასატანად. როგორც ზემოხსენებული სადგურები, ისე თითქმის ბაქოს მხრის ყველა სადგურები დასახლებულ ადგილებს არა ნაკლებ 50—60 ვერსითაა დაშორებული. მიუხედავად ამისა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა და ადგილობრივ ნაწარმოების გადატანა მეტად გაძლიერდა ამ ადგილებში და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თან და თან უფრო გაძლიერდება. აი ციფრები ერთის სადგურის მუშაობისა, რომელიც სამაზრო ქალაქიდამ 75 ვერსზეა დაშორებული და დასახლებული სოფლები 60 ვერსზე ახლო არც ერთი არ არის. ეს სადგური საკომერციო მუშაობით ბაქო—ტფილის შუა იმ სადგურთა შორის ითვლება, სადაც გზის მმართველობა საჭიროდ არა ჰხადის საკუთრად საკომერციო საქმეთათვის მოსამსახურენი იყოლიოს და მუშაობა თვით სადგურის უფროსსა, მის თანაშემწესა და ერთს საქონლის ამწონზეა დამყარებული. წარსულს 1892 წელს ამ სადგურზე გაყიდულა 4453 მგზავრთა ბილეთი; შესოსვლია გზას 12,390 მან. 57 კ. მთელის წარსულის წლის განმავლობაში ამ სადგურიდამ გაგზავნილა 125,558 ფუთი ღვინო, 10,970 ფუთი ჭაჭის არაყი, 57 ვაგონი (თითო

---

ლებით წამოიძახა თედომ და ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიარა, რის შემდეგაც ისევ ლოგინს მიჰმართა.

— მგონი გარედ უფრო თბილა, ვიდრე ჩვენს ოთახში. საბნის წახურვის დროს წამოიძახა იმან და წერილის კითხვა დაიწყო.

კითხულობდა უხმოდ, ჩუმად და რამდენადაც ქვევით მიდიოდა, იმდენად სახე ეჭმუხნებოდა და უსიამოვნობის ნიშანი ეტყობოდა ზედ. წაიკითხა ერთი გვერდი, მეორე და მესამის წაკითხვა-კი ვეღარ შესძლო, რადგანაც თვალები ცრემლით აევსო და ტანში მოშლილსავით მკლავები ძირს ჩამოუცვივდა.

— საყვარელო მშობლებო! ტირილის ხმით წამოიძახა და ლოგინში წამოჯდა: უკანასკნელ მდგომარეობამდის მიგიხწევიათ, არი-არედ გიხდებათ სიარული და მე-კი იმის მაგიერ, რომ ამისთანა გაჭირების დროს დაგეხმაროთ, პირ-იქით „ფულები გამომიგზავნეთ“-მეთქი, გწერთ!.. დახმარების მაგივრად, მინდა კიდევ თქვენ გამოგართოთ; გწერთ ჩემის უკიდურეს მდგომარეობის ამბავს, გთხოვთ ფულს და მით გიორკეცებთ თქვენს ტანჯვას. საიდგან მოვიპოვე ამისთანა უსინიდისობა, რომ მაგრე... ეჰ!... საყარელო მშობელო, მაპატივე, დამნაშავე ვარ შენ წინაშე... შენმა წერილმა თვალები ამიხილა და ეხლა ცხადლივ ვხედავ, რომ მე უსინიდისოდ მოგექეცით; ვხედავ ჩემ დანაშაულს და კიდეც ეს მტანჯავს, ცეცხლს მიკიდებს. შენი სიტყვები ისარივით მხვდება გულში და ისეც დაწყლულებულს წყლულს მიმატებს... მამი, მამი, შენს თეთრ წვერს პატივი არ ვეცი, შენი ცრემლები შეურაცხ ვყავ და არ გაგიგონე. ეხლა ვგრძნობ, რომ შენი სიტყვები: „იკმარე, შვილო, ნუ მიდიხარ!... შენ გარემოებას დაჰხედე და ისე მოიქეც!..“ მე არ გაგიგონე, მეგონა, ჩემი გზა ია და ვარდით იქნება დაფენილი და მოვიკლავ სწავლის წყურვილსა-მეთქი, მაგრამ რას ვხედავ?!.. ხა, ხა, ხა!... სწავლის წყურვილის მოკვლის მაგივრად, უმნიშვნელოდ, ლუკმა-პურის მოპოვების ბრძოლაში მირბის ცხოვრება!.. რომელს მივდიო?.. ლუკმა-პურს, თუ სწავლას? ორივეს ჩავეჭიდე და აი შედეგი. ორად მოხრილი რიღას მაქნისი ვარ? ცუდი გარემოება ზოგს კლდეთ აქცევს, და ზოგს-კი... ზოგს-კი მიწასთან ასწორებს, აქცევს ბუმბულად და, საითაც უნდა, იქით გააქანებს. ნეტარება პირველთ! ისინი ცხოვრებაში ყოველთვის გამარჯვებულნი არიან, გმირებად ხდებიან; მეორენი-კი...

სიტყვა ვეღარ დაათავა თედომ, რადგანაც საშინელი ყრუ ხველა აუვარდა, რამაც სული აღარ მოაქცევინა და ჩაახჟირა. გულზედ რაღაც აწვებოდა. უნდოდა ნახველისთვის ამოეყოლებინა, მაგრამ ნახველიც არ ამოსდიოდა. დიდხანს ახველა და ბოლოს ძლივ-ძლივობით ამოიღო ნახველი...

რა ნაირად ესიამოვნა! ამისთანა სიამოვნება, რაც თავი შეუსწავლია, თავის სიცოცხლეში ჯერ არ უგრძვნია. თედო დამშვიდდა, დაწყნარდა და სიამოვნების ოფლმა შუბლზედ გადმოჰხეთქა. მთლად დამშვიდებული წამოდგა სიამოვნებისაგან აცახცახებულ გამხმარ თითებით შუბლი მოიწმინდა და თიხის მათრათში პირიდგან ნახველი გადმოაგდო...

— ოჰ, დედავ!.. წამოიძახა თედომ, როცა პირი გაინთავისუფლა და გაფითრებული სახე ნახველს მიაყრდო, რომ ენახა, ასე რა არჩობდა და რის მოშორებამ აგრძნობინა ისეთი სიამოვნება.

ყელ-მოღერებულ ლამპრის ბუნდ შუქზედ კარგად ვერ გაარჩია ნახველი და ამისთვის მათრათი ლამპრის ახლო მიიტანა.

რა მოუვიდა თედოს, რომ მაგრე, ისეც გაფითრებული, უფრო გაფითრდა, ხელები საშინლად აუცახცახდა და მათრათი ხელიდგან გაჰვარდა, რომელიც მაშინვე იატაკზედ ზედ შუაზედ გადიშალა?

თედომ ტაბლას ხელი სტაცა, რომ არ გადაქცეულიყო, რადგანაც მუხლები მოეკეცა და გული გადაეფერა, ყურებმა საშინლად შუილი დაუწყო, წელი გაუხურდა და ცივმა ჭირის-ოფლმა დაასხა ტანზედ.

ასე გადაქცევაზედ კარგა ხანს იდგა და განძრევას ვეღარ ახერხებდა, იდგა დაგაშტერებით, უგონოდ კედლის ერთ წერტილს მისჩერებოდა, რომელიც ჯერ დამსხივნულ რგოლად სჩანდა, მერე თან-და-თან გადიდდა, სხივები შორს გაჰფანტა; რამდენადაც დიდდებოდა ეს რგოლი, იმდენად უფრო შემოხაზულობას ჰკარგავდა და ბუნდით იმოსებოდა; ბოლოს მთელი კედელი სულ შეიპყრო ამ რგოლმა და მთლად შავ ზეწრად გარდიქცა, რომელზედაც წვრილი ჰჭყვრიალა წერტილები დაციმციმებდა და ხანდისხან ბჭყვრიალავე ხაზი გველივით გაიკლაკნებოდა...

წერტილი ჩქარა გამოირკვა. თედოს გაუგრილდა ზურგი, ყურების შუილი შეუდგა, და გონი მოეცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგონში 700 ფუთი ითვლება) ხორბალი, 39 ვაგონი ქერი, 15 ვაგონი სელის ზეთის თესლი, 262 ვაგონი ძირტკბილა და წვრილმანი ხილი თუ სხვა 46,846 ფუთი.

ამავე სადგურზე მოსულა სხვა-და-სხვა საქონელი 55,663 ფუთი. სადგურიდამ გაგზავნილ საქონლიდამ გზას შემოსვლია 53,315 მან. 64 კ. მოსულ საქონლიდამ 17,869 მ. 28 კ. მთელის 1892 წლის განმავლობაში ამ სადგურიდამ გზას ნაღდად შემოსვლია 83,575 მან. 49 კაპ. ამას უნდა მივუმატოთ ერთი იმდენი რიცხვი მგზავრთა, რაც უბილეთოდ წავიდოდა სადგურიდამ. აქ ნაანგარიშები არ არის სახალხო მატარებლით გაგზავნილი საქონელი და მგზავრთა ბარგი, რომლის შემოსავალიც უეჭველია ათას თუმნამდე უნდა იყოს წლის განმავლობაში.

ამ ანგარიშიდამ მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ რა ნაირად იზიდავს გზა ყოველ გვარ საქონელს და რა ნაირად აძლიერებს ალებ-მიცემას, თუნდა მისი მიმართულება ხელსაყრელი არ იყოს გზის მახლობლად მცხოვრებთათვის და ისეთს ხრიოკ ადგილებზედ იყო გაყვანილი, როგორც ბაქოს გზაა.

ამ სადგურსავით მუშაობს თითქმის ათზე მეტი სხვა სადგურიცა ბაქოდამ ტფილისამდე. უეჭველია, შემდეგში მუშა სადგურთა რიცხვი კიდევ იმატებს. ბევრი ისეთი საქონელი გაჩნდა ამ ბოლოს დროს ბაქოს გზაზე საზიდად, რომელიც წინად არც-კი იყო დანახული. ვინ მოიფიქრებდა წინად, რომ ქვეით ქვეყნების ღვინო ამოდენა ბაზარს იშოვიდა რკინის გზის წყალობით. ან იმას ვინ იფიქრებდა, როცა ბაქოსკენ რკინის გზა გაჰყავნდათ, რომ აუარებელი ძირტკბილა წავა სამზღვარ გარედამ. განა ვინ მოიფიქრებდა, რომ ქურდამირიდამა და სხვა სადგურებიდამ სხვა-და-სხვა ხილი, ზღმარტლიც-კი დიდს ბაზარს მიაღწევდა.

## რუსეთი

რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხიდგან იუწყებიან, რომ გლეხებში ამ უკანასკნელ დროს უფრო გაძლიერდა სურვილი წიგნების კითხვისა; ამიტომ სოფლის ინტელიგენციას ამ წყურვილის დასაკმაყოფილებლად აუცილებლად საჭირო ღონისძიებად მიაჩნია სოფლად წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოების დაარსება. აი რასა სწერს „Волжскій Вѣстникъ“-ში ვლადიმირის გუბერნიის ერთ მივარდნილ სოფლიდგან ერთი კორესპონდენტი.

ორი-სამი წელიწადი არც-კი გავიდაო—სწერს სოფლელი ნასწავლი ახალგაზდა—მას აქედ, როცა მე ერთი წიგნაკიც არ მომეძებნეოდა რომ გლეხებისათვის წამეკითხა და ან მიმეცა წასაკითხად; მასთან ესეც უნდა ვთქვა, რომ ამ ორ-სამ წლის წინად არც ერთს გლეხს არ უთხოვნია ჩემთვის და არ განუცხადებია სურვილი, რომელიმე წიგნაკი წამიკითხე და ან მომეცი წასაკითხადაო. მაგრამ, ახლა-კი, წლეულს, 130 წიგნაკი, რომელიც მივიღე პეტერბურგის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კამიტეტისაგან, სულ გლეხებმა დაიტაცეს. ამ ჟამად წიგნების კითხვის მსურველი ძლიერ ბევრია დაბალ ხალხში! ეს მეორე-მესამე წელიწადია, რაც თვალ-ყურს ვადევნებ და ვაკვირდები, როგორ თანდათან ძლიერდება გლეხებში წიგნების კითხვის სურვილი.

— ჟურნალ „Вѣстникъ Европы“-სა თებერვლის წიგნში კ. ვ. არსენიევი სწერს შესახებ იმისა, რა მდგომარეობაშია ეხლა ორის წლის მოუსავლობისაგან დამშეული რამდენისამე გუბერნიის გლეხობა და რამდენად საჭიროა დროზე მიშველება მთავრობისა და შეძლებულ საზოგადოებისა. გასულ წელს, არსენიევს დაუვლია ვორონეჟის და ტულას გუბერნიების სოფლები და თავის თვალით უნახავს გლეხების გაჭირვება. ხოლო ის ღონისძიება, რაც გლეხთა დასახმარებლად მიღებულია, ვერ დააკმაყოფილებს საჭიროებას. მეტი დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ და ეხლა მიშველება უფრო ადვილია, რადგანაც წლეულს მოუსავლობისაგან დაზარალებულ გუბერნიების რიცხვი გასულ წლისაზე დიდად ნაკლებია. პურიც უფრო იაფ-ფასად იშოვება, ვიდრე შარშან. ავტორი წერილისა სამართლიანად ამბობს, დროზედ მივეშველნეთ გაჭირებულ ხალხს, ნუ დაგვიკრეფია გულხელი, ნუ ველოდებით გაზაფხულს, როცა ხოლერა თავს დაგვეცემა, უამინდობა გზას შეგვიკრავს და მუშაობა ძალ-ღონეს გამოაცლის სოფელს. ყველა უბედურობას ერთად ვერ მოვერევით და უფრორე გაგვიჭირდება ბრძოლა.

ამ სიტყვებს დასძენს „Русскія Вѣдомости“: ახლავე უნდა მივეშველნეთ ზოგიერთ გუბერნიის ხალხს, ახლავე მოვეხმართნეთ, ვიდრე სიმშილი არა სწვევია გლეხ-კაცობას. დროზედ მიშველება თავიდგან აგვაშორებს დიდს უბედურებას. ახლა არც იმოდენა ძალა და ღონისძიება დაგვჭირდება, რამოდენიც მაშინ, როცა საზარლად თავს დაგვატყდება ხოლერასთან ერთად ხოლერაზედ უფრო საზარელი სენი—სიმშილი,—ეს აუცილებელი სტუმარი ეკონომიურად დაჩაგრულ ერისა.

## უცხოეთი

### კავენიაკის სიტყვა

(დასასრული *)

კავენიაკი. (სიტყვას განაგრძობს) მე გკითხავთ, რა ღონის ძიება იხმარა მთავრობამ ყველა ზემო თქმულ უწესოებათა მოსასპობად? არაფერი. ეხლა მოგახსენებთ პარლამენტის დაქრთამვაზე. ნუ თუ ვერ ჰხედავთ საქმის ვითარებას? ნუ თუ გგონიათ, რომ ეს საქმე სრულიად გამოირკვა? თქვენ ხელთ გაქვთ ისეთი საბუთის ქაღალდი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს; წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საბუთის ქაღალდს სასამართლოს არ გადავცემდით გამოსაძიებლად. ამ ქაღალდით განსვენებული რეინაკი ამტკიცებს, რომ პალატის 104 დეპუტატმა ქრთამი აიღესო. მართალია თუ არა რეინაკის სიტყვა, ეს სულ სხვა საქმეა; მე ვკითხავ რესპუბლიკელებს, განა არ მეთანხმებით, რომ ყოვლად შეუძლებელია რეინაკის სიტყვის უყურადღებოდ დატოვება!? უეჭველად საჭიროა ამ საქმის გამორკვევა. კიდევ ვთხოვ რესპუბლიკელებს, გულ ახდით აღიარეთ, განა არ ჰხედავთ, რა სწადიანთ იმათ, ვინც ბრალსა სდებენ მთავრობასა და პალატას (მარცხნივ გაისმის ხმა მოწონებისა). ამ ვაჟბატონების სურვილი ის გახლავთ, რომ მთავრობის პოლიტიკას და, მაშასადამე, ჩვენს პოლიტიკასაც ჩირქი მოსცხონ. რა ილონა მთავრობამ ამ კაცების წინააღმდეგ, მე არ ვიცი. სრულიად ეჭვი არა მაქვს, რომ მთავრობა კეთილის სურვილით არის გამსჭვალული, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩემ მოვალეობად მიმაჩნია ხმა მაღლა ვაღიარო, რომ მთავრობამ საზოგადოების სურვილი ვერ დააკმაყოფილა (ტაშის ცემა). საჭიროა პალატამ თავისი აზრი და სურვილი გამოსთქვას იმ საქმის გამო, რომელმაც პალატაში ასეთი ხანგრძლივი კამათობა გამოიწვია. ამ ტრიბუნიდგან ჩვენ გვითხრეს, რომ ზოგიერთი ხერხი და ხრიკი საჭიროა მთავრობის არსებობისათვის (ტაშის ცემა). არა, შეუძლებელია, რომ საფრანგეთის მთავრობისთვის საჭირო იყოს, მიჰმართოს ხოლმე ფულის პატრონთ და მოწყალება სთხოვოს და ფულის პატრონთ მთავრობას ფული აჩუქონ! (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ტყუილია, ვითომ მთავრობის არსებობისთვის საჭირო იყოს, თვალყური ადევნოს, როგორ აძლევენ ქრთამებს ფულის პატრნოები მეგაზეთეებსა (ტაშის ცემა). არა, ჩემის აზრით, აშკარაა, რომ მთავრობას დიდებულ საფრანგეთისას არ უნდა ესაჭიროებოდეს სხვა-და-სხვა ხრიკების ხმარება თავის არსებობის დასაცველად (ისმის ხმა მოწონებისა). რა არის მიზეზი, რომ აგერ ოც წელზედ მეტია, რაც საფრანგეთის ერი ისე ძლიერ ენდობა რესპუბლიკის მთავრობასა? რისაგან არის, რომ მთელ საუკუნეს განმავლობაში საფრანგეთის ერი იბრძოდა თავისუფლებისათვის და ამ ბრძოლაში სისხლს ანთხევდა და ეხლა ისე ძლიერ უყვარს თავისი მთავრობა? მიზეზი ის გახლავთ, ბატონებო, რომ, როგორც ჩვენთვის, ისე მთელ ერისათვის საფრანგეთის მთავრობა მუდამ წარმომადგენელი იყო სიმართლისა და ჭეშმარიტებისა (ისმის ხმა მოწონებისა). ამას იქითაც მთავრობა ისეთივე უნდა იყოს და, თუ ერი დარწმუნდება, მთავრობა ჩვენის სიყვარულის ღირსი არ არის, რომ ჩვენი მისდამი ნდობა და რწმენა მხოლოდ ოცნება ყოფილაო, რა მოელის მაშინ რესპუბლიკას, თავისუფლებას, საფრანგეთს? (ტაშის ცემა). მე მსურს, პალატამ გადაჭრით გამოსთქვას თავისი აზრი და ამიტომ ვთხოვ მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება: პალატას სურს დაეხმაროს მთავრობას დაქრთამვათა მოსპობაში და ეცადოს ამიერიდგან ხელი შეუშალოს მთავრობას ისეთ საქმეებში, რომელიც მოსაწონად არ მიაჩინა.

კავენიაკის სიტყვას მოჰყვა ხანგრძლივი ტაშის ცემა. როცა კავენიაკი ტრიბუნიდგან გადმოვიდა, ხალხი შემოეხვია და გამარჯვებას ულოცავდნენ. დერულედი ხომ სიხარულით აღარ იყო და წამოიძახა: „ეს სიტყვა რესპუბლიკის პრეზიდენტის საკადრისი სიტყვა იყოო!“ შემდეგ დერულედმა მიჰმართა პალატის თავმჯდომარეს და მოახსენა, რადგანაც კავენიაკმა ყველა ის სთქვა, რის თქმაც-კი საჭირო იყო, მე აღარას ვიტყვიო. საზოგადოდ კავენიაკის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პალატაზე.

მინისტრ-პრეზიდენტმა რიბომ სთქვა, რომ მთავრობა სრულიად ეთანხმება კავენიაკსაო. შემდეგ კენჭი ჩამოატარეს, დავამტკიცოთ თუ არა კავენიაკის მიერ წარმოდგენილი ფორმულაო. პალატამ 449 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 3-სა შეიწყნარა ზემოხსენებული ფორმულა კავენიაკისა. როცა აღმოჩნდა, რომ კავენიაკის ფორმულას 449 თეთრი კენჭი ამოუვიდა და მხოლოდ 3 შავი, პალატას ძლიერ გაუკვირდა. მინისტრები და განსაკუთრებით რიბო საშინლად გაოცდნენ. დასასრულ, პალატამ 370 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 102-სა გადასწყვიტა, კავენიაკის სიტყვა გამოცხადდეს მთელს საფრანგეთშიო.

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის სამინისტრომ გარდასწყვიტა იშუამდგომლოს პარლამენტის წინაშე, რომ განსვენებულ რენანის ქვრივს პენსია დაუნიშნოს წელიწადში 6,000 ფრანკი.

— ლისაბონსა და ლინცაში ცოტა ხანს შემდეგ იდღესასწაულებენ 400 წ. იუბილეის კასკო-დე-გამის მიერ ინდო-

*) იხ. «ივერია», № 30.

---

მაგრამ ეხლა სიცივის კანკალმა აიტანა.

— ჰუ, ჰუ, ჰუ!.. განგებ ჩაახველა თედომ და ნახველს თითები მიუშვირა; გადმოფურთხვის უმალვე, ის თითები წითლად შეეღება.

ეს-ღა მაკლდა!.. გულ-მოწყვეტით წამოიძახა იმან, როცა წითლად შეღებილ თითებს დაჰხედა, და სასოწარკვეთილებით ჩაიქნია ხელი...

— უჰ, უჰ!.. რა ნაირად ჰყინავს! წამოიყვირა ამ დროს შემოსულმა გაბომ, რომელსაც წვერი და ულვაში წვრილს ლოლუებით მოჰქედოდა, რის გამოც ის ჭაღარა შერეულ ადამიანსავით გამოიცქირებოდა.

იმას მოჰყვა ორი იმავე სახის და სიცივისაგან წელში ორად მოხრილი ამხანაგი.

— სწორედ გითხრა, ქუჩაზე მეტად არც აქ თბილა!.. ხელების ფშვნეტით წამოიძახა ერთმა მათგანმა და თედოსთან ხელის ჩამოსართმევად მივიდა.

— ჩვენ, ჩემო გიგილო, პრინციპით არ ვათბობთ ოთახს! უპასუხა გაბომ და ისიც თედოსთან მივიდა‘ რომელმაც ღიმილით გაუწოდა ხელი ჯერ გიგილოს და მერე მეორე ამხანაგს.

— ბიჭო, რა მოგსვლია, რა ნაირად გაფითრებულხარ?! გაკვირვებით ჰკითხა გაბომ თედოს.

— არაფერი, არ უნდა მომსვლოდეს! ძალ-დატანებულის ღიმილით უპასუხა თედომ.

— ეგ სულ ეგეთი გაყვითლებულია და ეხლა შეამჩნიე?—უპასუხა მეორე ამხანაგმა თედოსთან ერთად გაბოს და, როცა არყით სავსე დიდი ბოთლი ტაბლაზედ დასდგა, დაუმატა:

— აბა, ე ქაფიანი გადაჰკრას, როგორ გაწითლდეს.

— ეგ სადღა გიშოვნიათ?

— არ იცი, რო მამაშენმა გამოგიგზავნა? სიცილით უპასუხა გიგილომ.

— რაც მამაჩემმა გამომიგზავნოს, ის მამაშენს დააკვეხე,—სამაგიეროდ თედომაც იოხუნჯა და გაიცინა.

— ემანდე, ქაფიანის დანახვაზედ როგორ მომხიარულდი!.. სიცილით სთქვა მეორე ამხანაგმა და თედოს მხარზედ ხელი დაჰკრა.

— ქაფიანის დანახვაზედ-კი არა, შენ დანახვაზედ მოვმხიარულდი, ჩემო ფიდო!

— ბიჭო, მე ხომ ქალი არა ვარ, რომ კომლიმენტს მეუბნები?!

— რა დროს ეგენია, ძალზედ მშიან! გააჩუმა გიგილომ ფიდო და თედო და შემდეგ გაბოს ჯიბეებს დაუწყო ქექა:

— ამოალაგე, საროდიოდღა ინახავ!

— აჰა, გაძეხ! უპასუხა გაბომ და ჯიბიდგან ქაღალდში შეხვეული ხორცეულობა ამოაწყო.

— რა, ფული მოგცეს, გაბო? ჰკითხა თედომ, როდესაც გიგილომ გახსნა ხორცეულობა.

— მომცეს და ეს ოხრებიც მაშინვე გზაში შემხვდნენ. რაკი გაიგეს, რომ ფული მაქვს, აღარ მომცილდნენ, სიცილით უპასუხა გაბომ.

— იცი, თედო, მე და ფიდო მოვდივართ და შევხედოთ, შენი გაბო არყის სავაჭრო დუქნებისკენ აცეცებს თვალებს. მაშინვე ვთქვით: „აქ კაი ამბავი უნდა იყოსო“ და წინ ვუყელეთ. „აი თქვე... კუდმა გაგიგოთო!“ წამოიყვირა გაბომ, ჩვენ რომ წინ შევეფეთეთ, და სიცილი მორთო. კუდმა-კი არა, თითონვე გაგვაგებინა. ჩვენც, რასაკვირველია, ამის სიცილს ბანი მივეცით...

— რას არ მომცემდით ბანს, როცა ჩემ ჯიბეში გეგულებოდათ!.. სიცილით გააწყვეტინა გიგილოს სიტყვა გაბომ და პალტოს გახდა დაიწყო.

— ნუ გეშინიან, ჩემო გაბო, სახვალიოდაც დაგრჩა:

„სანამ გვქონდეს ფულები,
ვჭამოთ მოხრაკულები;
როცა შემოგველიოს,
ჩამოვყაროთ ყურები“.

— ვაი, ვაი, შენს პატრონს!.. ეხლა მამაშენი ფიქრობს: „შვილი უნივერსიტეტში მყავს, მეცნიერი ჩამომივაო“!.. სიცილით უთხრა გაბომ და მერე თედოს მიუბრუნდა:

— ბიჭო, გაკვეთილზედ არ წახვალ?!

— მართლა, სულ გადამავიწყდა! პალტო რა უყავი?

— აი! უპასუხა გაბომ და თავისი პალტო მიაწოდა.

— რა დროს გაკვეთილია, ქაფიანი აქა დგას! წამოიძახა გიგილომ.

— სანამ ჩაის მოამზადებთ, მეც მოვალ უპასუხა თედომ და პალტოს ჩაცმა დაიწყო.

— შენი პალტო რაღა უყავ? ჰკითხა ამ დროს ფიდომ.

— ჩემი კასსაში მივაბარე, რომ არ გამიფუჭდეს,—სიცილით უპასუხა თედომ და გაბოს პალტო ჩაიცვა.

— მაინც?

— მაინც და დავაგირავე.

თედომ აიჯეჯა პალტოს საყელო ყურებ ზევით, გაბომ-კი ჩაიდანს ხელი წამოავლო და ჩაის თავდარიგს შეუდგა.

— დიდხანს არ გვალოდინო! თითქმის ყველამ ერთად მიაძახეს მიმავალ თედოს.

— არა, უპასუხა თედომ და კარი გაიხურა.

შ. არაგვისპირელი

(შემდეგი იქნება)

თის გზის აღმოჩენისას. საიუბილეო დღისთვის ამზობენ საგანგებო აკლდამას ააგებენ ვასკო-დე-გამმისა და მის მადიდებელ მგოსნის „ლუზიადის“ სახელობაზედ.

— პარიჟი ახალ გამოფენისათვის ემზადება, რომელიც გაიმართება—1900 წ. ამ გამოფენაზედ ერთი საკვირველი შადრევანი იქმნება, რომელსაც ისე მოაწყობენ, რომ გაანათებს კიდეც და ომიანობის დროს გუშაგადაც გამოდგება თურმე. შადრევანი 300 არშინზედ აისვრის წყალს.

— ნიცაში განუზრახავთ საგანგებო მეგლი ააგონ სახსოვრად ნიცის საფრანგეთთან შეერთებისა. ამისათვის გადადებულია 30,000 მან. მთელ საფრანგეთის მექანდაკეები ერთმანეთს ეცილებიან, არა მე უნდა გავაკეთო მეგლი, არა მეო.

— აი სხვათა შორის რა იქმნება ჩიკაგოს გამოფენაზედ: 1) კოშკი მორისონისა, რომელიც გაცილებით მაღალი იქნება ეიფელის კოშკზედ; 2) მიჩიგანის ტბაზედ აშენებული სასახლე, რომელიც ფართო ხიდით იქმნება შეერთებული ტბის ნაპირთან; 3) სწორედ იმ ნაირად აშენებული გემები, როგორითაც კოლუმბი პირველად ევროპიდგან ამერიკასკენ გაემგზავრა; 4) ელექტრონული ნავები; 5) ჰაეროსტატები; 6) უწინდებულ რომაელთა სახლი პომპეის დროისა. სხვათა შორის იქნება კიდევ მგალობელთა დასი, 1,000 ბავშვისაგან შემდგარი.

— რომანების საცხობი. ამერიკელები ხომ ყველა უცნაურობას მოიგონებენ. აი ერთი უცნაურობა. შეერთებულ შტატებში არსებობს ერთ-გვარი ქარხანა, ასრედ წოდებული „რომანების საცხობი“.

ერთ უზარმაზარ ზალაში ზის 30 ქალი და გაფაციცებით ჰფურცლავს მთელს დედამიწის ზურგის ჟურნალ-გაზეთობას. საყურადღებო და რომანებისთვის გამოსადეგ წერილებს წითელ ყარანდაშს გაუსმენ და სხვა 3 ქალს გარდასცემენ. ისინი უფრო გულ-დადებით გადაათვალიერებენ და გამოარჩევენ უფრო საუკეთესო სარომანო მასალას. შემდეგ სხვა 5 ქალი იმ მასალიდგან შეადგენს რომანების გეგმას (!) და დირექტორს წარუდგენს... დირექტორი აიღებ-დაიღებს, მერე ამოიღებს თანამშრომელთა სიას, რომელთა რიცხვი ორასს აღემატება, და რომელსამე მათგანს შეუთვლის: „ამ გეგმაზედ გამოაცხე რომანი ამა-და-ამ ხასიათისა და ფორმატისაო, ამდენ ნაწილად გაჰყავი, თითო ნაწილში ამდენი თავი იყოს და თითო თავში-ამდენი სტრიქონი, თითო სტრიქონში—ამდენი სიტყვა; ამა-და-ამ დროს უსათუოდ მზად იყოს და შრომის ფასს მოტანისათანავე მიიღებო“!...

თქვენ თვითონ წარმოიდგენთ, ბატონებო, რა ალტაცებით მიეგებება და დაეწაფება საზოგადოება ამ გვარად გამომცხვარ რომანებს...

# დეპეშა

10 თებერვალი

**პეტერბურგი.** ჟანდარმების კორპუსის შტაბის უფროსი პეტროვი დანიშნულ იქმნა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად.

სამარა-ზლატოუსტის რკინის გზაზე 30 დეკემბერს მომხდარ უბედურობის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ის უბედურობა რკინის გზის სამმართველოსა და მოხელეთა უყურადღებობისა გამო მოხდა. გზათა მინისტრმა დიდი საყვედური გამოუცხადა რკინის გზის უფროსად ნამყოფს პავლოვსკის, დაითხოვა თანამდებობისაგან რკინის გზის უფროსი ეისმონტი, უფა-პოგნარიცკის სადგურის უფროსი, მისი თანაშემწე სუხოცკი და ობერ-კონდუქტორი პახომოვი. მინისტრი აფრთხილებს რკინის გზის მოხელეთ, რომ სულ მცირე უყურადღებობისათვის, რომლის გამოც შესაძლებელია რაიმე უბედურება მოხდეს მატარებლის მიმოსვლის დროს, დიდს სასჯელს მიაყენებს არა მარტო დამნაშავეთ, არამედ უფროსებ აც.

პეტერბურგის ბირჟა, 9 თებერვ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{54}$ | $7,_{57}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | $151^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | $1,_{08}$ | $1,_{10}$ | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $227^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $195^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_4$ | — ,, | — ,, |

## ხელ-და-ხელ საჭირო ცნობანი

10 მაისს ბაქოს საოლქო სასამართლოში დანიშნულია გაჭრობით გასყიდვა სერგეი ანდრიას ძე სტეფანოვის მამულისა. მამული იმყოფება ქ. ბაქოს მესამე განყოფილებაში, შეიცავს $630^3/_4$ ოთხ-კუთხს საჟენს და დაფასებულია 10,000 მანათად.

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი


საპარფიუმერო მექარხნენი

ბროკარი და კ-ი

მომგონნი

ვარდის ოდეკალონისა, გლიცერინის ბუდრისა, გლიცერინის საპნისა დუხებისა: „სპარსული სირენა“ აცხადებენ, რომ მათ კიდევ გააკეთეს

ა ხ ა ლ ი

დუხები

„ბ ი უ ვ ა რ დ ე“

და

„დასასრული საუკუნისა“.

საპნები

„პარიჟის ვარდი“ „კორილოპსისი“ და „კონგოს ბავშვები“

ახალი ამბავი!

მშვენიერი სტუალეტო წყალი

ო-დე-ბროკარი

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—16)

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისსა და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

წიგნი:

თ ა მ ა რ მ ე ფ ე

(1184—1213)

შედგენილი

დ. კარიჭაშვილის მიერ

ფასი სამი შაური

ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქ. ტფილისში.

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბახტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა, მოდუღებული** საღებავ წამლებისთვის და ზეთები კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღაზიებში: საათფიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოვანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიაში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობჟანსკისა, დავარანცოვის ძეგლთან, ვარვაროვთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მაკაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდადოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, გალაღიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** თათრის მოედანზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, იარმუკაზე, ბუღდანოვის სახლში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარ სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრეთვე **ჩენჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად. (10—3)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი ვ ე რ ი ა“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.